


სამოდულო სივრცე მოიცავს მდინარეების სუფსის და ნატანების (ჩოლოქის აუზის გამოკლებით) აუზებს.




მდინარეთა ჰიდრომორფოლოგიური მახასიათებლები

მდინარე	სიგრძე, კმ	აუზის ფართობი, კმ ²	აუზის საშუალო სიმაღლე, მ	მდინარეთა ქსელის სიმჭიდროვე, კმ/კმ ²	საშუალო მრავალწლიური ხარჯი, მ ³ /წმ
სუფსა	108	1130	970	1.26	46.0
გუბაზეული	47	371	1300	1.01	13.7
ბახვისწყალი	42	156	1380	1.37	8.25
ნატანები	60	657	830	1.60	33.5
ბჟუჟი	32	259	1090	1.21	14.3


ინფორმაცია ჰიდროლოგიური სადგურების შესახებ

მდინარე - პუნქტი	აუზის ფართობი, კმ ²	აუზის საშუალო სიმაღლე, მ	საშუალო მრავალწლიური ხარჯი, მ ³ /წმ	დაკვირვების პერიოდი, წ.
სუფსა - ჩოხატაური	316	1250	13.7	1934, 35, 40-48, 50-2011
სუფსა - ხიდმაღალა	1100	970	45.6	1940-50, 54-62, 64-92
გუბაზეული - ხიდისთავი	337	1350	14.0	1929-31, 34-47, 49-91
ბახვისწყალი - ბახმარო	33.4	2260	1.86	1945-47, 49, 50, 52-78
ბახვისწყალი - ქვედა ბახვი	116	1480	5.76	1931, 32, 34-47, 49-87
ნატანები - ნატანები	469	880	24.0	1930-47, 49-91
ბჟუეჟი - ბჟუეჟიჰესი	97.5	1960	3.54	1962-92
ბჟუეჟი - გომი	112	1580	7.08	1931-41, 46, 47, 49-87

მდინარეთა საზრდოობის წყაროები (წვიმა – 53 %, მიწისქვეშა – 28 %, თოვლი – 19 %)



რეგიონის მდინარეები მიეკუთვნებიან შავიზღვისპირეთის ტიპს, გაზაფხულისა და შემოდგომის გამოკვეთილი წყალდიდობებით, საკმაოდ მაღალი მეუენით და წყალმოვარდნებით მთელი წლის განმავლობაში. ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება აღიწერება ერთი კანონზომიერებით.



- რეგიონის შედარებით მცირე ტერიტორიაზე გამოიყოფა 4 ჰიდროლოგიური რაიონი (სუფსის, გუბაზეულის, ბახვისწყლის და ნატანების აუზები), რომლებშიც ჩამონადენი ცალსახად განისაზღვრება აუზის საშუალო სიმაღლით.

ჰიდროენერგეტიკა

- მოქმედი ჰესი – ბჟუჟიჰესი (დერივაცია),
- მშენებარე ჰესები – ნაბელლაჟიჰესი (დერივაცია), ბახვიჰესი (დერივაცია).

ბუნებრივი სტიქიური მოვლენები

- რეგიონში საშიში ჰიდროლოგიური მოვლენები არ აღინიშნება;
- წყალმოვარდნების რაოდენობა, წლის განმავლობაში, მერყეობს 15-27 ფარგლებში. მათი მაქსიმუმი (6-12 შემთხვევა) შემოდგომაზეა;
- დვარცოფსაშიშროების მიხედვით რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება "სუსტ" და "შეზღუდული განვითარების" ტიპებს.

1995-2004 წლებში საქართველოს მდინარეებზე დაფიქსირდა 300 საშიში წყალმოვარდნა (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ანგარიში). აღნიშნულ პერიოდში რეგიონში დაფიქსირებული წყალმოვარდნების რაოდენობის (16) განაწილება და მათი სიმძლავრე მოყვანილია ცხრილში.

მდინარე	ბალი	რაოდენობა
ნატანები	1	3
ნატანები	2	1
ნატანები	3	1
ნატანები	4	3
გუბაზეული	1	3
გუბაზეული	3	1
სუფსა	1	2
სუფსა	1	1
ბახვისწყალი	4	1

1 ბალი – ძალიან ძლიერი, 2 ბალი – ძლიერი, 3 ბალი – საშუალო, 4 ბალი – სუსტი.